ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 125

"27" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.13.039.011; №01.18.13.039.026) რძის საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 15 ოქტომბრის №47 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 აპრილის №04/7711 წერილის (AR1380013) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.13.039.011; №01.18.13.039.026;) რძის საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1380013 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**



საქართველოს რესპუბლიკა

ქ. თბილისის მერია

სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ. თბილისში ფონიჭალის დასახლებაში "ვიმბილდან ფუდი"-ის და "ვიმბილდან საქართველო"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე რძის პროდუქტების საწარმოს განთავსების რეგულირების გეგმა

სამსახურის უფროსი

აღნიშვნები

- შენობა - ნაგებობა
- წითელი ხაზები
- ჭრილის ხაზი
- გზები
- გამწვანება
- განაშენიანების საზღვარი

1	2
3	4

1 - ზონის სახელი
2 - შენობის სართულიანობა
3 - განაშენიანების კოეფიციენტი
4 - ინტენსივობის კოეფიციენტი

მიწის ნაკვეთების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

	ტერიტორიის ფართი	განაშენიანების ფართი	კ1	სრული სართ. ჯამური ფართი	კ2
I	12729	5627	0.4	5753	0.5
II	12265	2439	0.2	2439	0.2
სულ ჯამი	24994	8066	0.3	8192	0.3

ექსპლიკაცია

I - ადმინისტრაციული შენობა
II - ავტოსადგომი
III - საწარმო შენობა
IV - სამეურნეო ნაგებობა

სახელი/გვარი	ხელმოწერა	
		ფაილის სახელი dwg - FILE NAME
		მასშტაბი - 1:1000 SCALE
		ფორმატი - A-3 - PAPER SIZE

ობიექტის მისამართი — ქ. თბილისი, ხოშელი ფონიჭალა, ნაკვეთი №30/006

ობიექტის დასახელება — რძის პროდუქტების საწარმო